№77

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 03 თებერვალი 2015 წ.

ერთის მხრივ ***თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,*** *მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. №5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)*

და მეორეს მხრივ ***შპს "მადლი",*** *ბორჯომი, მესხეთის ქ. №6 ა, საიდენტიფიკაციო კოდი 426109383 (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის გიორგი ხუციშვილის სახით და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:*

შემსყიდველმა განახორციელა **სასმელი წყლის** (ბოთლით) (CPV 41110000), გამარტივებული შესყიდვა რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **700** (შვიდასი) **ლარი და 00 თეთრი.**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე საქონლის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი.

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე მოთხოვნიდან ერთ დღეში.

"შემსყიდველი" _____ "მიმწოდებელი"

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებული საქონლის მიღება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი"

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია გაფორმების თარიღიდან 2016 წლის 31 იანვრამდე.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი" – თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბორჯომი, მესხეთის ქ. №5. საიდენტიფიკაციო კოდი 226161961; ს.ს. თი-ბი-სი ბანკის ს/ჯ ფილიალი, ა/ანგ. №GE25TB0105833030100001, ბანკის კოდი TBCBGE22.

226161961

დ. ყიფიანი

ბ. ა.

"მიმწოდებელი" – შპს "მადლი", ბორჯომი, მესხეთის ქ. №6 ა, საიდენტიფიკაციო კოდი 426109383, სს "თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22, ა/ანგ. №GE70TB7261836080100003;

ბ. ა.

გ. ხუციშვილი

"შემსყიდველი" ----------

"მიმწოდებელი"

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცამეტი წლის ორ ივლისს, მე, ნოტარიუსს **ნინო გელაშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №1-ში, მომმართა შპს „მადლი"-ს (რეგისტრირებული 20/10/2011 წელს საიდენტიფიკაციო №426109383) დირექტორმა **სიალა გოგოლაძემ**. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა **გიორგი ხუციშვილის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პიროვნება წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **სიალა გოგოლაძე** (დაბადებული 30.12.1940 წელს, გორში. მცხ. ბორჯომი გამარჯვების ქ. №83, პირადი [illegible]) მომმართა. მე შევამოწმე **სიალა გოგოლაძის** უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს „ მადლი "-ს**. თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან, განაცხადის (რეგისტრაციის) №B11151703 გაც. 21/10/2011 წ, რომელიც ვიდის [illegible] ჩემს მიერ [illegible] რეესტრის ეროვნული სააგენტოს http://public.reestri.gov.ge საიტზე. მე შევამოწმე [illegible] ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც [illegible] რომელმაც განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის ორი ივლისი. **შპს „მადლი"-ს** (რეგისტრირებული 20/10/2011 წელს საიდენტიფიკაციო №426109383) დირექტორმა **სიალა გოგოლაძემ** (დაბადებული 30.12.1940 წელს, გორში. მცხ. ბორჯომი გამარჯვების ქ. №83, პირადი №11001020714). რომელიც შემდეგში [illegible] როგორც "მიმნდობი" **გიორგი ხუციშვილს** (დაბ. 15.07.1972 წელს თბილისში, მცხ. [illegible] დიღომი მ/რ 3 კორ. 1 ბ. 41, პირადი №01023006634). რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ [illegible] სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან მიმართებაში, [illegible] სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული [illegible] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების [illegible] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო [illegible] ბორჯომის რაიონის მუნიციპალიტეტსა და საკრებულოში და სხვა შესაბამის [illegible] ორგანიზაციებში ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ამონაწერი ცნობები მოწმობები [illegible] დოკუმენტაცია. „მინდობილი პირი" ასევე უფლებამოსილია მართოს და განკარგოს საზოგადოების ანგარიშები სს „თიბისი ბანკში" კერძოდ: შეიტანოს და გამოიტანოს თანხები, [illegible] გადარიცხვები და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, ხელი მოაწეროს [illegible] და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას.
მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას თვრამეტი (2018) წლის ორი (02) ივლისის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" [illegible] წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად სანოტარო [illegible] შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა ძალაუფლების [illegible] ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების [illegible] შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 32-ე მუხლისა, აგრეთვე ორი (02) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) ელექტრონული სანოტარო [illegible] რეგისტრაციისათვის. თანახმად საქართველოს მთავრობის (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) [illegible] 39-ე მუხლის 1 პუნქტისა, სულ გადახდილია: თორმეტი (12) ლარი

მიმნდობი: [illegible]

ნოტარიუსი: [illegible] / ნინო გელაშვილი